

შპს „გრინ სთორ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის


შპს გრინ სტორ

ბიუჯეტური კოდი: 406492291

სარჩევი

მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	5
ახსნა - განმარტებითი შენიშვნები.....	6
ზოგადი ინფორმაცია.....	6
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	6
ტერმინების განმარტებები:.....	6
სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები.....	6
ფული და ფულის ეკვივალენტები.....	7
ფინანსური აქტივების გაუფასურება.....	7
ფინანსური ვალდებულებები.....	7
ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა.....	7
ძირითადი საშუალებები.....	8
მარაგები.....	8
დაბეგვრა.....	9
შემოსავალი.....	9
ხარჯების აღიარება.....	9
სახელფასო განაცემები.....	9
შეფასებისა და წარდგენის ვალუტა.....	10
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	10
შენიშვნა - 3 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.....	11
შენიშვნა - 4 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები.....	11
შენიშვნა - 5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	11
შენიშვნა - 6 მარაგები.....	12
შენიშვნა - 7 სავაჭრო და მოკლევადიანი ვალდებულებები.....	12
შენიშვნა - 8 ამონაგები.....	12
შენიშვნა - 9 თვითღირებულება.....	12
შენიშვნა - 10 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი.....	13
შენიშვნა - 11 სხვა არასაოპერაციო ხარჯი/შემოსავალი.....	13

მთავარი ბუღალტერი:



მოგება-ზარალის ანგარიშგება

		2024	2023
ამონაგები	8	2,684,076	-
თვითღირებულება	9	(2,162,507)	-
საერთო მოგება		521,569	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	10	(521,789)	-
საოპერაციო მოგება		(219)	-
ფინანსური შემოსავალი	11	2,895	-
ფინანსური ხარჯი	11	(0)	-
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება	11	1	-
მოგება დაბეგვრამდე		2,677	-
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		2,677	-
მთლიანი სრული შემოსავალი		2,677	-

მთავარი ბუღალტერი:



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	14,935	-
არამატერიალური აქტივები		2,485	-
საინვესტიციო ქონება		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		17,420	-
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	290,576	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	847,805	-
მარაგები	6	2,283,859	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,422,240	-
სულ აქტივები		3,439,660	-
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	-
გადაფასების რეზერვი		29	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,677	-
სულ კაპიტალი		4,706	-
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	3,434,954	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,434,954	-
მთლიანი ვალდებულებები		3,434,954	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,439,660	-

მთავარი ბუღალტერი:




შპს გრინ სტორ

ბიუჯეტური კოდი: 406492291

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-
წმინდა მოგება			-	-
სხვა სრული შემოსავალი				
პერიოდის სრული შემოსავალი			-	-
გაცემული დივიდენდი			-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება				
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-
წმინდა მოგება			2,677	2,677
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2,677	2,677
გაცემული დივიდენდი				-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	2,000	29		2,029
2024 წლის 31 დეკემბერი	2,000	29	2,677	4,706

მთავარი ბუღალტერი:



ახსნა - განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „გრინ სტორ“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2024 წლის 4 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 406492291. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა მსხვილი, წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკით და ასევე კომპიუტერული ტექნიკით. შპს „გრინ სტორი“: საქართველოს ბაზარზე ახდენს მრავალი დასახელების, მოდელების და ბრენდების საქონლის რეალიზაციას, ესენია: მაცივრები, სარეცხი მანქანები, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, გაზქურები, მტვერსასტურები, ტელევიზორები, ტელეფონები და სხვა ტექნიკა. კომპანია საქონლის შესყიდვას აწარმოებს ადგილობრივი დისტრიბუტორებისაგან. კომპანიის ფიზიკური მისამართია ქ.თბილისი, თბილისის ცენტრალი, სადგურის მოედანი N2. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, შანდორ პეტეფის ქ., N1, ბინა N60. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია რობერტ მაშავეი. კომპანიის დირექტორია რობერტ მაშავეი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიისთანამშრომლებისრაოდენობაიყო 54 ადამიანი.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:


აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მთავარი ბუღალტერი:



შპს გრინ სტორ

საიდენტიფიკაციო ნომერი: 406492291

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 12 თვემდე. 12 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური ვალდებულებები


ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განტეხილი ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდებულს წარმოადგენს. ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

მთავარი ბუღალტერი:



ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:


ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ავეჯი და სხვა ინვენტარი	12 წელი
სათვალთვალო კამერები	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

მთავარი ბუღალტერი:





დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.


თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

მთავარი ბუღალტერი:



შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2023 წლის 31 დეკემბერს და 2014 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
პერიოდი	აშშ დოლარი
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

მთავარი ბუღალტერი:



შპს გრინ სტორ

საიდენტიფიკაციო ნომერი: 406492291

შენიშვნა - 3 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მიწის ნაკვეთები	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ლარში					
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	-	-	-
შესყიდვა	2,924	12,011	-	-	14,935
გასვლა	-	-	-	-	-
გაუფასურება	-	-	-	-	-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	-
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-	-
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	2,924	12,011	-	-	14,935
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	-	-	-	-	-
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა					-
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება					
2023 წლის ბოლოს	-	-	-	-	-
2024 წლის ბოლოს	2,924	12,011	-	-	14,935

შენიშვნა - 4 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	<u>12/31/2024</u>	<u>12/31/2023</u>
ფული სალაროში	1,189	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	289,387	-
	<u>290,576</u>	<u>-</u>

შენიშვნა - 5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

ლარში	<u>12/31/2024</u>	<u>12/31/2023</u>
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	803,228	-
საგადასახადო აქტივი	44,577	-
	<u>847,805</u>	<u>-</u>

მთავარი ბუღალტერი:



შპს გრინ სტორ

საიდენტიფიკაციო ნომერი: 406492291

შენიშვნა - 6 მარაგები

ლარში	12/31/2024	12/31/2023
საქონელი	2,283,859	-
სხვა მარაგები	-	-
	2,283,859	-

შენიშვნა - 7 სავაჭრო და მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო ვალდებულებები	3,344,081	-
ვალდებულება თანამშრომლის წინაშე	34,227	-
მიღებული ავანსები	56,646	-
	3,434,954	-


შენიშვნა - 8 ამონაგები

ლარში	12/31/2024	12/31/2023
მზა პროდუქციის რეალიზაცია	2,684,076	-
	2,684,076	-

შენიშვნა - 9 თვითღირებულება

ლარში	12/31/2024	12/31/2023
მზა პროდუქციის თვითღირებულება	2,162,507	-
	2,162,507	-

მთავარი ბუღალტერი:



შპს გრინ სთორ

საიდენტიფიკაციო ნომერი: 406492291

შენიშვნა - 10 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარში	12/31/2024	12/31/2023
იჯარის ხარჯი	214,260	-
შრომის ანაზღაურება	189,118	-
საბანკო და სხვა საკომისიო ხარჯი	35,873	-
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	30,623	-
კომუნალური ხარჯი	16,678	-
მარკეტინგული ხარჯი	11,929	-
აუდიტორული მომსახურება	5,094	-
სხვა საერთო ხარჯები	4,940	-
სხვა მომსახურების ხარჯი	4,904	-
საწვავის ხარჯი	4,438	-
საყოფაცხოვრებო და საკანცელარიო ხარჯი	1,909	-
იურიდიული მომსახურება	1,000	-
სატრანსპორტო საშუალებების რემონტი	536	-
დაცვის მომსახურება	260	-
დაზღვევა	228	-
	<u>521,789</u>	<u>-</u>

შენიშვნა - 11 სხვა არასაოპერაციო ხარჯი/შემოსავალი

ლარში	12/31/2024	12/31/2023
საპროცენტო შემოსავლები	2,887	-
შემოსავალი/ხარჯი ვალუტის გადაფასებიდან	1	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	8	-
	<u>2,896</u>	<u>-</u>

მთავარი ბუღალტერი: 